პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

№ 13 (1183) | ხუთშაბათი, 30 იანვარი, 1958 წ. | გამოცემის მე-14 წელი | ფასი 40 კაპ.

ამ დღეებში თბილისის მე-7 სამკერვალო ფაბრიკაში მოეწყო საღამო, რომელზეც მოწვეულნი იყვნენ რესპუბლიკის სახელგანთქმული სპორტსმენები მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი თავისუფალ ჭიდაობაში, სპორტის დამსახურებული ოსტატი ვ. ბალავაძე, ჩვენი ქვეყნის არაერთგზის ჩემპიონები, სპორტის დამსახურებული ოსტატები ტანმოვარჯიშე მ. ჯუღელი, მოჭიდავეები მ. ცალქალამანიძე და გ. სხირტლაძე.

საღამოზე თავიანთი სპორტული საქმიანობის შესახებ სიტყვებით გამოვიდნენ ვ. ბალავაძე და მ. ჯუღელი. დასასრულს მოწვეული და ადგილობრივ სპორტსმენთა ძალებით გაიმართა საჩვენებელი გამოსვლები სპორტის სხვადასხვა სახეობაში.

* * *



ს უ რ ა თ ზ ე: რესპუბლიკის გამოჩენილი სპორტსმენები მარცხნიდან მ. ჯუღელი, მ. ცალქალამანიძე და გ. სხირტლაძე სხედან პრეზიდიუმის მაგიდასთან. ქვევით სპორტის დამსახურებული ოსტატი ვ. ბალავაძე დამსწრეთ გადასცემს მსოფლიო პირველობის შთაბეჭდილებებს.

ფოტო ა. ვართანოვისა

## გელერმა მუდმივი ქიშით იხსნა თავი პირველი დამარცხებისაგან

### დაირღვა ტურნირის განრიგი

### ტოლუში ჯერჯერობით ინარჩუნებს წაგების რეკორდს



## სსრკ XXV ჩემპიონატი

რიგაში ამინდის ხშირი ცვალებადობა უარყოფითად მოქმედებს მოჭადრაკეებზე. ისინი ხშირად ხდებიან ავად, რითაც ურთულებენ საქმეს მსაჯთა კოლეგიას და გულშემატკივრებს თავის ფავორიტების სატურნირო მდგომარეობის გარკვევაში. IX ტურისათვის სამი მოჭადრაკე იყო ავად. ამიტომ ამ დღეს ექვსი პარტია გათამაშდა. მათგან დამთავრდა მხოლოდ სამი.

საერთო ყურადღებით სარგებლობდა გელერ-გურგენიძის პარტია. დებიუტის შემდეგ დაფაზე მშვიდობიანი პოზიცია შეიქმნა. გელერი ამაგრებდა ცენტრს, ხოლო გურგენიძე თავის ფიგურების პოზიციებს. ამიტომ ისეთი რჩებოდა შთაბეჭდილება, რომ მალე მოხდებოდა დაზავება, მაგრამ მოლოდინი არ გამართლდა. გურგენიძემ ტაქტიკური დარტყმებით შეარყია გელერის ცენტრი. მაშინ გროსმაისტერი ხარისხის დათმობით შეეცადა ცენტრისა და ინიციატივის შენარჩუნებას. გურგენიძემ მიიღო ხარისხი და საპასუხო მატერიალური მსხვერპლის გაღებით ძალზე გაამძაფრა თამაში.

მაყურებლებს არ უნდოდათ ყურადღება მოეცილებიათ გურგენიძის თამაშისათვის, არც ტაიმანოვისათვის, რომელიც თავგამოდებით უტევდა ბანიკს. და, რასაკვირველია, არც გიპსლისისათვის, რომელმაც დიდ გასაჭირში ჩააგდო ბრონშტეინი. ბოლოს მაინც სძლია ქართველი ოსტატის პარტიამ, რომელიც ამაობაში უფრო დაიმუხტა.

ყოველი სვლით გელერს უძნელდებოდა ინიციატივის შენარჩუნება. ამასთან მიახლოვდა ცაიტნოტი. გელერმა შვებით ამოისუნთქა, როდესაც შეამჩნია, რომ კუს შეწირვით მუდმივი ქიშს მიაღწევდა. ამ „კომბინაციის" განხორციელებით მან მიაღწია სასურველ ყაიმს. დარბაზში ატყდა ტაში. პარტიით კმაყოფილი მაყურებელი ულოცავდნენ გელერსა და გურგენიძეს შემოქმედებით გამარჯვებას.

მალე ტაიმანოვმა დალაშქრა ბანიკის მეფის ფრთა და მას ფარხმალი დააყრევინა. მშვიდობით გაცილდნენ ერთმანეთს ფურმანი და ავერბახი.

გიპსლისი ბრონშტეინის გონებამახვილურ სვლებს არ უშინდებოდა და მატერიალური უპირატესობაც შეინარჩუნა. მას მოგების რეალური შესაძლებლობა აქვს. ამ დღეს კროგიუსმაც გამოიჩინა თავი — მოსაგებ პოზიციაში გადასდო პარტია ბოლესლავსკისთან. სუეტინი უგებდა ბორისენკოს, მაგრამ 41-ე სვლაზე მოულოდნელად წააგო ეტლი და... პარტია გადაიდო.

იმის გამო, რომ დაგროვდა 13 გამოტოვებული და გადადებული პარტია, მსაჯთა კოლეგიამ გადაწყვიტა დაერღვია ტურნირის განრიგი და IX ტურის შემდეგ გაიმართა დასამთავრებელი პარტიების გათამაშება.

თამაშის დაწყებამდე ბოლესლავსკიმ და სუეტინმა ზედმეტად ჩათვალეს წინააღმდეგობა კროგიუსსა და ბორისენკოსთან პარტიებში და დანებდნენ.

საინტერესო გამოდგა ტალ-კორჩნოის შეხვედრა. მწვავე ბრძოლაში ინიციატივა კორჩნოის მხარეზე იყო. ერთ-ერთ მომენტში ტალს შეეძლო ყაიმის მიღწევა, მაგრამ მან ეს შესაძლებლობა ვერ გამოიყენა და დამარცხდა. ტალის წაგებამ თითქოს „გააბრაზა" ლატვიის ჩემპიონი გიპსლისი, რომელიც ტოლუშთან თამაშობდა. რთულ პოზიციაში, რომელიც მან შექმნა, გროსმაისტერმა უხეში შეცდომა დაუშვა და 30-ე სვლაზე დანებდა. ეს მისი მეხუთე დამარცხებაა.

ყაიმით დასრულდა პოლუგაევსკი-პეტროსიანისა და ბორისენკო-ბოლესლავსკის პარტიები.

ამრიგად, IX ტურის შემდეგ ლიდერია ე. გელერი — 6 ქულა, ი. ავერბახს — 5,5 ქულა აქვს, ბ. სპასკის — 5 ქულა და ერთი გადადებული პარტია, ი. ბოლესლავსკის — 5, დ. ბრონშტეინს — 4,5 და ორი გადადებული პარტია, მ. ტალს — 4 და ორი გადადებული პარტია.

* * *




ს უ რ ა თ ზ ე: ჩემპიონატის მეორე ტური. თამაშობენ ა. ბანიკი (მარცხნივ) და ბ. გურგენიძე.

ფოტო ვ. ვედერნისა



## საკავშირო პირველობა კალათბურთში

სვერდლოვსკი. „ურალმაშზავოდის" დარბაზში 27 იანვარს დაიწყო კალათბურთელთა საკავშირო ჩემპიონატის პირველი წრის პირველი ტურის შეხვედრები. როგორც ცნობილია, სვერდლოვსკში გამოდიან ვაჟთა შემდეგი კოლექტივები: რიგის ოსკა, მოსკოვის „დინამო", თბილისის „დინამო", სვერდლოვსკის „ტრუდი", ტალინის „კალევი", ლენინგრადის „ბურევესტნიკი".

პირველ დღეს თბილისის „დინამო" (ქორქია, ხაზარაძე, აბაშიძე, კილაძე, მინაშვილი) შეხვდა ლენინგრადის „ბურევესტნიკს" (მამონტოვი, ბენედიქტოვი, კუტუზოვი, პეტკიავიჩუსი, ფომიჩევი). ინიციატივა თავიდანვე ხელთ იგდეს თბილისელებმა. მე-8 წუთზე როდესაც ანგარიში 8:7 იყო, დინამოელთა საუარესოდ, ტრავმას იღებს ქორქია. მის ნაცვლად მოედანზე შემოდის გვახცელაძე.

ლენინგრადელთა შორის აქტიური თამაშით გამოირჩევიან მამონტოვი და კუტუზოვი. მე-14 წუთზე მათ წინ გაჰყავთ თავიანთი გუნდი — 20:15. მოედანს კვლავ უბრუნდება ქორქია, მაგრამ მცირე ხნით. იგი ხელახლა იღებს ტრავმას და მის ადგილს იკავებს ხაზარაძე. პირველი ნახევრის უკანასკნელ წამზე მინაშვილის ზუსტი სროლა ათანაბრებს ანგარიშს — 23:23.

მეორე ნახევარში უპირატესობა ცვალებადია. ხუთი პერსონალური შეცდომისათვის მოედანს სტოვებენ ბენედიქტოვი, ფომიჩევი და პეტკიავიჩუსი. ინიციატივა გადადის დინამოელთა მხარეს და უპირატესობას ისინი ბოლომდე ინარჩუნებენ — 55:53.

საინტერესო ბრძოლით აღინიშნა გასული წლის ჩემპიონის რიგის ოსკას და მოსკოვის „დინამოს" შეხვედრა. გაიმარჯვეს დინამოელებმა — 80:76. ტალინის „კალევმა" დაამარცხა სვერდლოვსკის გუნდი — 64:60.

მეორე თამაში თბილისის „დინამოს" ჰქონდა რიგის ოსკა-თან. გუნდები მოედანზე გამოვიდნენ ასეთი შემადგენლობით: თბილისი — ხაზარაძე, გვანცელაძე, აბაშიძე, მინაშვილი, კილაძე. რიგა — მუიჟნიექსი, ვალდმანისი, მუიჟნიექსი, კრუმინში, იანკოვსკი.

მე-5 წუთამდე ანგარიში თბილისელებს მიჰყავდათ — 8:5. შემდეგ კრუმინშმა, მუიჟნიექსმა და ვალდმანისმა წინ გაიყვანეს თავიანთი გუნდი — 13:10. ამის შემდეგ ინიციატივა ლატვიელთა მხარეს გადადის, რომლებიც იგებენ თამაშის პირველ ნახევარს — 33:21.

მოსალოდნელი იყო, რომ თბილისელები გააქტიურდებოდნენ შეხვედრის მეორე ნახევარში, მაგრამ ეს არ მოხდა. პირიქით, თამაშის უკანასკნელ წუთებზე მათ მთლიანად დაყარეს ფარხმალი და წააგეს მატჩი — 53:66.

ამ დღეს გაიმართა კიდევ ორი შეხვედრა. მოსკოვის „დინამომ" მოუგო ტალინის „კალევს" — 78:58, ხოლო ლენინგრადის „ბურევესტნიკმა" — სვერდლოვსკის გუნდს — 65:59.

**მ. ამნიაშვილი,**
ჩვენი სპეც. კორესპონდენტი.

ა ლ მ ა-ა ტ ა. (ჩვენი სპეც. კორესპონდენტი). აქ დაიწყო კალათბურთელთა საკავშირო პირველობის პირველი ტურის შეხვედრები. ალმა-ატის ჯგუფში თამაშობენ ცსკმო, რიგის „სპარტაკი", ალმა-ატის „ბურევესტნიკი", კაუნასის „ჟალგირისი", თბილისის „ბურევესტნიკი" და მოსკოვის „სპარტაკი".

როგორც ცნობილია, თბილისის „ბურევესტნიკი" „ა" კლასში წელს პირველად გამოდის, ამიტომ ადგილობრივი სპორტის მოყვარულები დიდ ინტერესს იჩენენ თბილისელთა ახალგაზრდული კოლექტივის თამაშისადმი. პირველი მატჩი თბილისელებს რიგის „სპარტაკთან" ჰქონდათ.

შეხვედრის დამთავრებამდე ძნელი გასარკვევი იყო, რომელი გუნდი აღმოჩნდებოდა უფრო ძლიერი. უკანასკნელ წუთზე „ბურევესტნიკის" თავდამსხმელებმა გაითამაშეს ზუსტი კომბინაცია და გაუსწრეს მეტოქეს ორი ქულით. შეხვედრა მოიგო თბილისის გუნდმა ანგარიშით 61:59.

ცსკმო-მ შედარებით იოლად დაამარცხა მოსკოვის „სპარტაკი" — 72:56, ხოლო ალმა-ატის „ბურევესტნიკმა" დაძაბულ ბრძოლაში სძლია კაუნასის „ჟალგირისს" — 65:62.

მეორე დღეს თბილისის „ბურევესტნიკი" თამაშობდა კაუნასის „ჟალგირისის" ძლიერი გუნდის წინააღმდეგ. ეს თამაში მოიგეს ლიტველმა სპორტსმენებმა — 60:54. მიუხედავად დამარცხებისა თბილისის გუნდმა მაყურებელს აჩვენა მეტად გააზრებული და ლამაზი თამაში. გამარჯვებული გუნდი წარმატებას, თავის გამოცდილებას უნდა უმადლოდეს. მან შესძლო უკანასკნელ წუთებში ინიციატივის ხელში აღება და სწორედ ამით მოიპოვა გამარჯვება.

მაყურებელი ერთსულოვანი ტაშით შეხვდა დამარცხებულებს, რაც იმის ნიშანი იყო, რომ ისინი კმაყოფილნი იყვნენ „ა" კლასის ახალი დებიუტანტით. როგორც სპეციალისტები აღნიშნავენ „ბურევესტნიკის" თამაშმა კარგი შთაბეჭდილება დატოვა. ისინი ულოცავენ ახალგაზრდულ კოლექტივს კარგ სტარტს.

ამ დღეს მოსკოვის „სპარტაკმა" იოლად მოუგო შეხვედრა რიგის თანაკლუბელებს 85:54. თავდაცვის სამინისტროს ცენტრალური სპორტული კლუბის გუნდმა მოიპოვა მეორე გამარჯვება. ამჯერად მან დაამარცხა ალმა-ატის „ბურევესტნიკი".

**ზ. გამრეკლიძე**

* * *

თბილისის „ბურევესტნიკის ქალთა გუნდმა, რომელიც რიგაში თამაშობს განიცადა ორი დამარცხება. წააგო შეხვედრები რიგის „დაუგავასთან" — 35:48. და ტარტუს „კალევთან" — 62:72.

# რესპუბლიკურ სპორტულ ღონისძიებ

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტმა მთელ რიგ სპორტსაზოგადოებათა თხოვნით შეცვალა სპორტულ ღონისძიებათა საკავშირო კალენდარი. ამასთან დაკავშირებით შესაბამისად შეცვალა რესპუბლიკურ სპორტულ ღონისძიებათა კალენდარი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტმაც, რომელსაც ვაქვეყნებთ ჩვენს გაზეთში.

ჩვენს მიერ ადრე გამოქვეყნებული კალენდარი გაუქმებულია.

## კომპლექსური ღონისძიებანი

1. შეჯიბრებები ფიზიკური კულტურის კოლექტივებში, რაიონებსა და ქალაქებში მთელი წლის განმავლობაში ადგილობრივი პირობების გათვალისწინებით.

2. სტუდენტთა V საკავშირო საზაფხულო თამაშები:

ა) უმაღლეს სასწავლებელთა პირველობები ქალაქებში. ადგილებზე. 8 ივლისამდე. მონაწილეობენ უმაღლეს სასწავლებელთა გუნდები (ღონისძიებას ატარებენ „ბურევესტნიკის" საბჭოები).

ბ) უმაღლეს სასწავლებელთა პირველობები ზონებში, მოკავშირე რესპუბლიკებში. ადგილებზე. 24 ივლისამდე. მონაწილეობენ უმაღლეს სასწავლებელთა გუნდები (ღონისძიებას ატარებენ სამინისტროები, უწყებები და „ბურევესტნიკი").

გ) ფინალური შეჯიბრება. კიევში. 30 ივლისი — 6 აგვისტო. მონაწილეობენ ცალკეულ უმაღლეს სასწავლებელთა გუნდები (მონაწილეთა რაოდენობა 3000, ღონისძიებას ატარებს ფიზკულტურის საკავშირო კომიტეტი).

3. მოსწავლეთა V საკავშირო სპარტაკიადა და პიონერთა საკავშირო შეკრების სპორტული შეჯიბრებანი:

ა) სკოლების, რაიონების, ოლქების, რესპუბლიკების პირველობა. ადგილებზე. 10 აგვისტომდე. მონაწილეობენ სკოლების გუნდები.

ბ) ფინალური შეჯიბრება. მოსკოვი. 17-24 აგვისტო. მონაწილეობენ განათლების სამინისტროების, გზათა მიმოსვლის სამინისტროების, შრომითი რეზერვების სამმართველოსა და პიონერთა რაზმეულების ნაკრები გუნდები (მონაწილეთა რაოდენობა 5208, ღონისძიებას ატარებენ საკავშირო კომიტეტი და საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტი).

4. პროფკავშირების VI საკავშირო საზაფხულო სპარტაკიადა. მოსკოვი. 26 აგვისტო — 2 სექტემბერი. მონაწილეობენ პროფსაბჭოთა და საწარმოო დაწესებულებათა ფიზიკური კულტურის კოლექტივების ნაკრები გუნდები (მონაწილეთა რაოდენობა 6500, ღონისძიებას ატარებს სპორტულ საზოგადოებათა საკავშირო საბჭო).

5. საბჭოთა არმიის საზაფხულო სპარტაკიადა. მოსკოვი. მაისი-აგვისტო. მონაწილეობენ ოლქების ნაკრები გუნდები.

6. „დინამოს" საზაფხულო სპარტაკიადა. მოსკოვი. 25 ივლისი — 4 აგვისტო. მონაწილეობენ რესპუბლიკების, მხარეებისა და ოლქების ნაკრები გუნდები (მონაწილეთა რაოდენობა 2000, ღონისძიებას ატარებს „დინამოს" ცენტრალური საბჭო).

7. „სპარტაკის" საზაფხულო სპარტაკიადა. მინსკი. 8-16 აგვისტო. მონაწილეობენ სპორტსაზოგადოების რესპუბლიკური საბჭოების ნაკრები გუნდები (მონაწილეთა რაოდენობა 2000, ღონისძიებას ატარებს „სპარტაკის" ცენტრალური საბჭო).

8. „შრომითი რეზერვების" საზაფხულო სპარტაკიადა. როსტოვი. 12-20 ივლისი. მონაწილეობენ საზოგადოების ადგილობრივი საბჭოების ნაკრები გუნდები (მონაწილეთა რაოდენობა 2000, ღონისძიებას ატარებს „შრომითი რეზერვების" ცენტრალური საბჭო).

9. სოფლის სპორტსმენთა II საკავშირო საზაფხულო სპარტაკიადა. ბაქო. 20-26 ოქტომბერი. მონაწილეობენ მოკავშირე რესპუბლიკათა ნაკრები გუნდები (მონაწილეთა რაოდენობა 1515, ღონისძიებას ატარებს ფიზკულტურისა და სპორტის საკავშირო კომიტეტი).

10. საბჭოთა არმიის ზამთრის სპარტაკიადა. ლენინგრადი. 11-16 თებერვალი. მონაწილეობენ ოლქების ნაკრები გუნდები.

## ავტოსპორტი

1. რესპუბლიკური შეჯიბრება მსუბუქი ავტომანქანებით. თბილისი. 15-19 მაისი. მონაწილეობენ სპორტსაზოგადოებათა და უწყებათა ნაკრები გუნდები (მონაწილეთა რაოდენობა 20, ღონისძიებას ატარებენ ფიზკულტურისა და სპორტის რესპუბლიკური კომიტეტი და დოსააფი).

2. მონაწილეობა საკავშირო სამდღიან შეჯიბრებაში მსუბუქი ავტომანქანებით. მინსკი. 13-15 ივნისი. მონაწილეობს რესპუბლიკის ნაკრები გუნდი (მონაწილეთა რაოდენობა 11, ღონისძიებას ატარებს ფიზკულტურის საკავშირო კომიტეტი).

## აკრობატიკა

1. ქალაქების, ავტონომიური ოლქისა და ასს რესპუბლიკათა შეჯიბრება მოზარდთა შორის. ადგილებზე. 16-23 მარტი. მონაწილეობენ ფიზიკური კულტურის კოლექტივები (ღონისძიებას ატარებენ ფიზკულტურის შესაბამისი კომიტეტები).

2. მოზარდთა რესპუბლიკური შეჯიბრება. თბილისი. 20-24 ივნისი. მონაწილეობენ ქალაქების, ავტონომიური ოლქისა და ასს რესპუბლიკათა შეჯიბრებებში გამარჯვებულნი (მონაწილეთა რაოდენობა 80, ღონისძიებას ატარებს ფიზკულტურის რესპუბლიკური კომიტეტი).

3. მონაწილეობა მოზარდთა საკავშირო შეჯიბრებაში. თბილისი. 18-23 ივლისი. მონაწილეობს რესპუბლიკის ნაკრები გუნდი (მონაწილეთა რაოდენობა 210, ღონისძიებას ატარებს ფიზკულტურის საკავშირო კომიტეტი).

4. ქალაქების, ავტონომიური ოლქისა და ასს რესპუბლიკათა პირველობა. ადგილებზე. 19-31 ოქტომბერი. მონაწილეობენ ფიზიკური კულტურის კოლექტივები (ღონისძიებას ატარებენ ფიზკულტურის შესაბამისი კომიტეტები).

5. საქართველოს სსრ პირად-გუნდური პირველობა. თბილისი. 13-17 ნოემბერი. მონაწილეობენ ქალაქების, ავტონომიური ოლქისა და ასს რესპუბლიკათა პირველობებში გამარჯვებულნი (მონაწილეთა რაოდენობა 80, ღონისძიებას ატარებს ფიზკულტურის რესპუბლიკური კომიტეტი).

6. მონაწილეობა სსრ კავშირის პირად-გუნდურ პირველობაში. მოსკოვი. 12-17 დეკემბერი. მონაწილეობს რესპუბლიკის ნაკრები გუნდი (მონაწილეთა რაოდენობა 14, ღონისძიებას ატარებს ფიზკულტურის საკავშირო კომიტეტი).

## ალპინიზმი

1. ზამთრის ასვლები ყაზბეგზე. 17-18 თებერვალი. მონაწილეობა სიის მიხედვით (მონაწილეთა რაოდენობა 15, ღონისძიებას ატარებს ფიზკულტურის რესპუბლიკური კომიტეტი).

2. საკონკურსო ასვლები. კავკასიონი. 20 ივლისი — 18 აგვისტო. მონაწილეობა სიის მიხედვით (მონაწილეთა რაოდენობა 30, ღონისძიებას ატარებს ფიზკულტურის რესპუბლიკური კომიტეტი).

3. სარეკორდო ასვლა. კავკასიონი. 25 ივლისი — 23 აგვისტო. მონაწილეობა სიის მიხედვით (მონაწილეთა რაოდენობა 45, ღონისძიებას ატარებს ფიზკულტურის რესპუბლიკური კომიტეტი).

4. სარეკორდო ჩასვლა კარსტულ მღვიმეში. ოხაჩქუა. 6-30 სექტემბერი. (მონაწილეთა რაოდენობა 25, ღონისძიებას ატარებს ფიზკულტურის რესპუბლიკური კომიტეტი).

## კალათბურთი

1. მოზარდთა რესპუბლიკური შეჯიბრება. გორი. 4-10 იანვარი. მონაწილეობენ სპორტსაზოგადოებათა და უწყებათა გუნდები (მონაწილეთა რაოდენობა 170, ღონისძიებას ატარებს ფიზკულტურის რესპუბლიკური კომიტეტი).

2. მონაწილეობა „ა" კლასის კოლექტივებთან არსებული მოზარდთა გუნდების საკავშირო შეჯიბრებაში. ვილნიუსი. 4-13 იანვარი. მონაწილეობენ თბილისის „დინამო" და „ბურევესტნიკი".

3. მონაწილეობა სსრ კავშირის პირველობაზე „ა" კლასში. კალენდარის მიხედვით. მონაწილეობენ თბილისის „დინამო" და „ბურევესტნიკი" (ღონისძიებას ატარებს ფიზკულტურის საკავშირო კომიტეტი).

4. ზამთრის რესპუბლიკური შეჯიბრება. თბილისი. 14-22 თებერვალი. მონაწილეობენ თბილისის, სოხუმის, ბათუმის, ქუთაისის, ფოთის, გორისა და ჭიათურის გუნდები (მონაწილეთა რაოდენობა 132, ღონისძიებას ატარებს ფიზკულტურის რესპუბლიკური კომიტეტი).

5. მოზარდთა გუნდების საქალაქთაშორისო შეჯიბრება. როსტოვი. 25-29 მარტი. მონაწილეობენ რესპუბლიკურ შეჯიბრებაში გამარჯვებულნი (მონაწილეთა რაოდენობა 132, ღონისძიებას ატარებს ფიზკულტურის საკავშირო კომიტეტი).

6. მონაწილეობა სსრ კავშირის პირველობაზე „ბ" კლასში. სვერდლოვსკი. 8-21 აპრილი. მონაწილეობენ რესპუბლიკურ შეჯიბრებაში გამარჯვებულნი (მონაწილეთა რაოდენობა 24, ღონისძიებას ატარებს ფიზკულტურის საკავშირო კომიტეტი).

7. რაიონების, ქალაქების, ავტონომიური ოლქისა და ასს რესპუბლიკათა პირველობები. ადგილებზე. 1-15 ივნისი. მონაწილეობენ ფიზიკური კულტურის კოლექტივების გუნდები (ღონისძიებას ატარებენ შესაბამისი კომიტეტები).

8. საქართველოს სსრ პირველობა „ა" კლასის გუნდებისათვის. თბილისი. 21-28 ივნისი. მონაწილეობენ ქალაქებისა და ასს რესპუბლიკათა პირველობებში გამარჯვებულ სპორტსაზოგადოებათა და უწყებათა გუნდები. (მონაწილეთა რაოდენობა 176, ღონისძიებას ატარებს ფიზკულტურის რესპუბლიკური კომიტეტი).

9. საქართველოს სსრ პირველობა „ბ" კლასის გუნდებისათვის. ქუთაისი. 2-9 აგვისტო. მონაწილეობენ რაიონების, ქალაქების, ავტონომიური ოლქისა და ასს რესპუბლიკათა პირველობებში გამარჯვებულნი (მონაწილეთა რაოდენობა 260, ღონისძიებას ატარებს ფიზკულტურის რესპუბლიკური კომიტეტი).

## კრივი

1. ქალაქების, ავტონომიური ოლქისა და ასს რესპუბლიკათა პირადი პირველობა. ადგილებზე. 30 იანვრამდე. მონაწილეობენ სპორტსაზოგადოებათა და უწყებათა მოკრივეები.

2. საქართველოს სსრ პირადი პირველობა. ბათუმი. 1-5 თებერვალი. მონაწილეობენ სპორტსაზოგადოებათა და უწყებათა უძლიერესი მოკრივეები (მონაწილეთა რაოდენობა 80, ღონისძიებას ატარებს ფიზკულტურის რესპუბლიკური კომიტეტი).

3. მონაწილეობა სსრ კავშირის პირად პირველობაში:

ა) ზონა. ლვოვი, სტალინგრადი, მინსკი, თბილისი. 27 თებერვალი — 6 მარტი. მონაწილეობა სპორტსაზოგადოებათა და უწყებათა განაცხადების მიხედვით (მონაწილეთა რაოდენობა 160, ღონისძიებას ატარებს ფიზკულტურის საკავშირო კომიტეტი).

ბ) ფინალი მოსკოვში. 4-10 აპრილი. მონაწილეობენ ზონებში გამარჯვებულნი.

4. მოზარდთა პირად-გუნდური რესპუბლიკური შეჯიბრება. სოხუმი. 14-18 ივნისი. მონაწილეობენ ავტონომიური ოლქის, ასს რესპუბლიკათა, თბილისისა და ქუთაისის ნაკრები გუნდები (მონაწილეთა რაოდენობა 100, ღონისძიებას ატარებს ფიზკულტურის რესპუბლიკური კომიტეტი).

5. მონაწილეობა მოზარდთა საკავშირო პირად-გუნდურ შეჯიბრებაში. კიშინიოვი. 18-26 ივლისი. მონაწილეობს რესპუბლიკის ნაკრები გუნდი (მონაწილეთა რაოდენობა 11, ღონისძიებას ატარებს ფიზკულტურის საკავშირო კომიტეტი).

6. ქალაქების, ავტონომიური ოლქისა და ასს რესპუბლიკათა პირად-გუნდური შეჯიბრება ახალგაზრდა მოკრივეთა შორის. ადგილებზე. 7-14 სექტემბერი. მონაწილეობენ ფიზიკური კულტურის კოლექტივები (ღონისძიებას ატარებენ ფიზკულტურის შესაბამისი კომიტეტები).

7. რესპუბლიკური პირად-გუნდური შეჯიბრება ახალგაზრდა მოკრივეთა შორის. ქუთაისი. 18-22 სექტემბერი. მონაწილეობენ რაიონების, ქალაქების, ავტონომიური ოლქისა და ასს რესპუბლიკათა გუნდები (მონაწილეთა რაოდენობა 88, ღონისძიებას ატარებს ფიზკულტურის რესპუბლიკური კომიტეტი).

8. მონაწილეობა საკავშირო პირად-გუნდურ შეჯიბრებაში ახალგაზრდა მოკრივეთა შორის. კიევი. 18-26 ოქტომბერი. მონაწილეობს რესპუბლიკის ნაკრები გუნდი (მონაწილეთა რაოდენობა 11, ღონისძიებას ატარებს ფიზკულტურის საკავშირო კომიტეტი).

9. საქართველოს სსრ გუნდური პირველობა. თბილისი 11-15 სექტემბერი. მონაწილეობენ ავტონომიური ოლქის, ასს რესპუბლიკათა, თბილისის, ქუთაისისა და ფოთის ნაკრები გუნდები (მონაწილეთა რაოდენობა 80, ღონისძიებას ატარებს ფიზკულტურის რესპუბლიკური კომიტეტი).

# ...ათა 1958 წლის კალენდარული გეგმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

...ი ჭიდაობა

...ქალაქების, ავ-
...ქისა და ასს რეს-
...რად - გუნდური
...გილებზე. 15-29
...ლეობენ ფიზი-
...ს კოლექტივები.
...ური გუნდური
...გაზრდა მოჭიდა-
...სოხუმი. 22-27
...ეობენ ქალაქე-
...რი ოლქისა და
...თა ნაკრები გუნ-
...თა რაოდენობა
...ს ატარებს ფიზ-
...პუბლიკური კო-

...ობა საკავშირო
...ებაში ახალგაზ-
...შორის. მოსკო-
...რი. მონაწილე-
...ს ნაკრები გუნ-
...რაოდენობა 19,
...რებს ფიზკულ-
...ო კომიტეტი).
...რესპუბლიკური
...შეჯიბრება.
...ივნისი. მონაწი-
...ბის, ქალაქების,
...ოლქისა და ასს
...ნაკრები გუნდები
...რაოდენობა 120,
...რებს ფიზკულ-
...კური კომიტე-

...ობა მოზარდთა
...ებაში. ხარ-
...ისი. მონაწილე-
...ს ნაკრები გუნ-
...რაოდენობა
...ატარებს ფიზ-
...საკავშირო კომიტე-

...ს სსრ პირად-
...ობა. თბილისი.
... მონაწილეო-
...ქალაქების, ავ-
...ოლქისა და ასს
...ნაკრები გუნდე-
...რაოდენობა
...ატარებს ფიზ-
...პუბლიკური კო-
...ი).
... სსრ კავშირის
...პირველობაში.
...ტომბერი. მო-
...ბლიკის ნაკრე-
...ნაწილეთა რაოდე-
... ატარებს
...საკავშირო კომი-
...ი).

...ჭიდაობა

...რესპუბლიკური
... 27-31 მარ-
... რაიონების,
...ავტონომიური ოლ-
...ბლიკათა გუნ-
... რაოდენობა
... ატარებს ფიზ-
...ლიკური კო-
...
... სსრ პირადი
... 10-14 ივ-
... მიხედ-
... რაოდენობა
... ატარებს ფიზ-
...ლიკური კო-
...
3. ... სსრ გუნდუ-
... 24-28
...ობენ ზო-
... (მონაწი-
... 234, ლონისძი-
... ფიზკულტურის
...
4. ... აბსოლუ-
... 4-8
...ობა სიის
... რაოდე-
... ატარებს
... რესპუბლიკური
...

...დაობა

1. ... რესპუბლიკური
... შეჯიბრება. ქუ-
... მონაწილე-
... ავტონომიური

ოლქისა და ასს რესპუბლიკათა ნაკრები გუნდები (მონაწილეთა რაოდენობა 80, ღონისძიებას ატარებს ფიზკულტურის რესპუბლიკური კომიტეტი).

2. მონაწილეობა მოზარდთა საკავშირო შეჯიბრებაში. ხარკოვი. 17-22 ივლისი. მონაწილეობს რესპუბლიკის ნაკრები გუნდი (მონაწილეთა რაოდენობა 14, ღონისძიებას ატარებს ფიზკულტურის საკავშირო კომიტეტი).

3. ქალაქების, ავტონომიური ოლქისა და ასს რესპუბლიკათა პირად-გუნდური პირველობა. ადგილებზე. 27 სექტემბერი — 5 ოქტომბერი. მონაწილეობენ ფიზიკური კულტურის კოლექტივების გუნდები (ღონისძიებას ატარებენ ფიზკულტურის შესაბამისი კოლექტივები).

4. საქართველოს სსრ პირად-გუნდური პირველობა. ბათუმი. 18-23 ოქტომბერი. მონაწილეობენ ქალაქების, ავტონომიური ოლქისა და ასს რესპუბლიკათა ნაკრები გუნდები (მონაწილეთა რაოდენობა 120, ღონისძიებას ატარებს ფიზკულტურის რესპუბლიკური კომიტეტი).

5. მონაწილეობა სსრ კავშირის პირად-გუნდურ პირველობაში. ლვოვი. 22-27 ნოემბერი. მონაწილეობს რესპუბლიკის ნაკრები გუნდი (მონაწილეთა რაოდენობა 18, ღონისძიებას ატარებს ფიზკულტურის საკავშირო კომიტეტი).

## ჭიდაობა სამბო

1. რაიონების, ქალაქების, ავტონომიური ოლქისა და ასს რესპუბლიკათა პირად-გუნდური პირველობა. ადგილებზე. 9-23 თებერვალი. მონაწილეობენ ფიზიკური კულტურის კოლექტივების გუნდები (ღონისძიებას ატარებენ ფიზკულტურის შესაბამისი კომიტეტები).

2. საქართველოს სსრ პირად-გუნდური პირველობა. თბილისი. 1-5 მარტი. მონაწილეობენ სპორტსაზოგადოებათა და უწყებათა ნაკრები გუნდები (მონაწილეთა რაოდენობა 80, ღონისძიებას ატარებს ფიზკულტურის რესპუბლიკური კომიტეტი).

3. მონაწილეობა სსრ კავშირის პირად-გუნდურ პირველობაში. მინსკი. 1-7 აპრილი. მონაწილეობენ სპორტსაზოგადოებათა და უწყებათა ნაკრები გუნდები (ღონისძიებას ატარებს ფიზკულტურის საკავშირო კომიტეტი).

4. მოზარდთა რესპუბლიკური შეჯიბრება. თბილისი. 26-30 ივნისი. მონაწილეობენ რაიონების, ქალაქების. ავტონომიური ოლქისა და ასს რესპუბლიკათა ნაკრები გუნდები (მონაწილეთა რაოდენობა 80, ღონისძიებას ატარებს ფიზკულტურის რესპუბლიკური კომიტეტი).

## წყალბურთი

1. მონაწილეობა „ა" კლასის კოლექტივებთან არსებული მოზარდთა გუნდების საკავშირო შეჯიბრებაში. კიევი. 22 მარტი — 1 აპრილი. მონაწილეობენ თბილისის „დინამო" და „ბურევესტნიკი" (ღონისძიებას ატარებს ფიზკულტურის საკავშირო კომიტეტი).

2. მონაწილეობა სსრ კავშირის პირველობაში „ა" კლასის გუნდებს შორის:

I წრე — მოსკოვში. 5-20 აპრილი.

II წრე — კიევში. 3-28 დეკემბერი.

3. ქალაქებისა და ასს რესპუბლიკათა გუნდების შეჯიბრება მოზარდთა შორის. ადგილებზე. 25 მაისი — 1 ივნისი. მონაწილეობენ სპორტსაზოგადოებათა გუნდები (ღონისძიებას ატარებენ ფიზკულტურის შესაბამისი კომიტეტები).

4. მოზარდთა რესპუბლიკური შეჯიბრება. ბათუმი. 6-14 ივნისი. მონაწილეობენ ქალაქებისა და ასს რესპუბლიკათა პირველობებში გამარჯვებულ სპორტსაზოგადოებათა გუნდები (მონაწილეთა რაოდენობა 88, ღონისძიებას ატარებს ფიზკულტურის რესპუბლიკური კომიტეტი).

5. ქალაქებისა და ასს რესპუბლიკათა პირველობა. ადგილებზე. 25 ივლისი — 10 აგვისტო. მონაწილეობენ სპორტსაზოგადოებათა გუნდები (ღონისძიებას ატარებენ ფიზკულტურის შესაბამისი კომიტეტები).

6. საქართველოს სსრ პირველობა. სოხუმი. 12-20 აგვისტო. მონაწილეობენ ქალაქებისა და ასს რესპუბლიკათა პირველობებში გამარჯვებულ სპორტსაზოგადოებათა გუნდები (მონაწილეთა რაოდენობა 96, ღონისძიებას ატარებს ფიზკულტურის რესპუბლიკური კომიტეტი).

7. მონაწილეობა სსრ კავშირის პირველობაში „ბ" კლასის გუნდებს შორის. სტალინგრადი. 12-23 სექტემბერი, მონაწილეობს რესპუბლიკურ პირველობაში გამარჯვებული სპორტსაზოგადოების გუნდი (ღონისძიებას ატარებს ფიზკულტურის საკავშირო კომიტეტი).

## ისინდი

1. რაიონების, ქალაქებისა და ასს რესპუბლიკათა პირველობა. ადგილებზე. 11-18 მაისი (ღონისძიებას ატარებენ ფიზკულტურის შესაბამისი კომიტეტები).

2. საქართველოს სსრ პირველობა. ფოთი. 30 მაისი — 6 ივნისი. მონაწილეობენ რაიონების, ქალაქებისა და ასს რესპუბლიკათა ნაკრები გუნდები. (მონაწილეთა რაოდენობა 60, ღონისძიებას ატარებს ფიზკულტურის რესპუბლიკური კომიტეტი).

## საბაიდარო ნიჩბოსნობა და კანოე

1. ქალაქებისა და ასს რესპუბლიკათა პირველობა. ადგილებზე. 13-19 აპრილი. მონაწილეობენ ფიზიკური კულტურის კოლექტივები. (ღონისძიებას ატარებს ფიზკულტურის რესპუბლიკური კომიტეტი).

2. პირად-გუნდური შეჯიბრება გაზეთ „ლელოს" პრიზზე. ფოთი. 25-29 აპრილი. მონაწილეობენ სპორტსაზოგადოებათა და უწყებათა ნაკრები გუნდები. (მონაწილეთა რაოდენობა 125, ღონისძიებას ატარებს ფიზკულტურის რესპუბლიკური კომიტეტი).

3. მონაწილეობა ამიერკავკასიის ზონალურ შეჯიბრებაში. ფოთი. 24-28 მაისი. მონაწილეობს რესპუბლიკის ნაკრები გუნდი. (მონაწილეთა რაოდენობა 25, ღონისძიებას ატარებს ფიზკულტურის რესპუბლიკური კომიტეტი).

4. საქართველოს სსრ პირად-გუნდური პირველობა. თბილისი. 12-16 აპრილი. მონაწილეობენ ქალაქებისა და ასს რესპუბლიკათა ნაკრები გუნდები. (მონაწილეთა რაოდენობა 125. ღონისძიებას ატარებს ფიზკულტურის რესპუბლიკური კომიტეტი).

5. მონაწილეობა სსრ კავშირის პირად-გუნდურ პირველობაში. როსტოვი. 19 24 ივლისი. მონაწილეობენ სპორტსაზოგადოებათა და უწყებათა ნაკრები გუნდები. (ღონისძიებას ატარებს ფიზკულტურის საკავშირო კომიტეტი).

## ლელობურთი

1. რაიონების, ქალაქებისა და ასს რესპუბლიკათა პირველობა. ადგილებზე. 25 ივნისამდე. მონაწილეობენ ფიზიკური კულტურის კოლექტივების გუნდები (ღონისძიებას ატარებენ ფიზკულტურის შესაბამისი კომიტეტები).

2. საქართველოს სსრ პირველობა:

ა) ზონებში. გეგმის მიხედვით. 1, 8, 15, 22 ივნისს. მონაწილეობენ რაიონებისა და ქალაქების გუნდები. (ღონისძიებას ატარებენ ფიზკულტურის რესპუბლიკური და შესაბამისი კომიტეტები).

ბ) ფინალი. გეგმის მიხედვით 28 ივნისი — 4 ივლისი. მონაწილეობენ ზონებში გამარჯვებულნი. (80 მონაწილე, ღონისძიებას ატარებს ფიზკულტურის რესპუბლიკური კომიტეტი).

## საიალქნო სპორტი

1. ქალაქებისა და ასს რესპუბლიკათა შეჯიბრებები მოზარდთა შორის. ადგილებზე. 9-12 მაისი. მონაწილეობენ ფიზიკური კულტურის კოლექტივები. (ღონისძიებას ატარებენ ფიზკულტურის შესაბამისი კომიტეტები)

2. მოზარდთა რესპუბლიკური შეჯიბრება. სოხუმი. 29 მაისი — 2 ივნისი. მონაწილეობენ ქალაქებისა და ასს რესპუბლიკათა ნაკრები გუნდები (მონაწილეთა რაოდენობა 60, ღონისძიებას ატარებს ფიზკულტურის რესპუბლიკური კომიტეტი).

3. ქალაქებისა და ასს რესპუბლიკათა პირველობა. ადგილებზე. 17-21 ოქტომბერი. მონაწილეობენ ფიზიკური კულტურის კოლექტივები (ღონისძიებას ატარებენ ფიზკულტურის შესაბამისი კომიტეტები).

4. საქართველოს სსრ პირად-გუნდური პირველობა. თბილისი. 1-5 ნოემბერი. მონაწილეობენ ქალაქებისა და ასს რესპუბლიკათა ნაკრები გუნდები (მონაწილეთა რაოდენობა 60, ღონისძიებას ატარებს ფიზკულტურის რესპუბლიკური კომიტეტი).

## ხელბურთი (11:11)

1. რაიონების, ქალაქების, ავტონომიური ოლქისა და ასს რესპუბლიკათა პირველობა. ადგილებზე. 29 ივნისი — 13 ივლისი. მონაწილეობენ ფიზიკური კულტურის კოლექტივების გუნდები (ღონისძიებას ატარებენ შესაბამისი კომიტეტები).

2. საქართველოს სსრ პირველობა. ფოთი. 12-19 ივლისი. მონაწილეობენ სპორტსაზოგადოებათა და უწყებათა ნაკრები გუნდები (მონაწილეთა რაოდენობა 150, ღონისძიებას ატარებს ფიზკულტურის რესპუბლიკური კომიტეტი).

3. მონაწილეობა სსრ კავშირის პირველობაში. ოდესა. 16-27 აგვისტო. მონაწილეობს რესპუბლიკის პირველობაში გამარჯვებული (მონაწილეთა რაოდენობა 33, ღონისძიებას ატარებს ფიზკულტურის საკავშირო კომიტეტი).

## ცხენბურთი

1. რაიონების, ქალაქებისა და ასს რესპუბლიკათა პირველობა. ადგილებზე. 11-18 მაისი (ღონისძიებას ატარებენ ფიზკულტურის შესაბამისი კომიტეტები).

2. საქართველოს სსრ პირველობა. ფოთი. 30 მაისი — 6 ივნისი. მონაწილეობენ რაიონების, ქალაქებისა და ასს რესპუბლიკათა ნაკრები გუნდები (მონაწილეთა რაოდენობა 60. ღონისძიებას ატარებს ფიზკულტურის რესპუბლიკური კომიტეტი).

## აკადემიური ნიჩბოსნობა

1. ქალაქებისა და ასს რესპუბლიკათა პირველობა. ადგილებზე. 20-30 ივნისი. მონაწილეობენ ფიზიკური კულტურის კოლექტივები (ღონისძიებას ატარებენ ფიზკულტურის შესაბამისი კომიტეტები).

2. საქართველოს სსრ პირად-გუნდური პირველობა. თბილისი. 3-7 ივლისი. მონაწილეობენ ქალაქებისა და ასს რესპუბლიკათა ნაკრები გუნდები (მონაწილეთა რაოდენობა 150, ღონისძიებას ატარებს ფიზკულტურის რესპუბლიკური კომიტეტი).

3. მოზარდთა რესპუბლიკური შეჯიბრება. თბილისი. 12-15 ივლისი. მონაწილეობენ სპორტსაზოგადოებათა და უწყებათა გუნდები. (მონაწილეთა რაოდენობა 100, ღონისძიებას ატარებს ფიზკულტურის რესპუბლიკური კომიტეტი).

4. მონაწილეობა სსრ კავშირის პირად-გუნდურ პირველობაში. მოსკოვი. 2-6 აგვისტო. მონაწილეობს რესპუბლიკის ნაკრები გუნდი (მონაწილეთა რაოდენობა 58, ღონისძიებას ატარებს ფიზკულტურის საკავშირო კომიტეტი).

5. მონაწილეობა მოზარდთა საკავშირო შეჯიბრებაში აკადემიურ ნიჩბოსნობასა და კანოეში. ლენინგრადი. 23-27 აგვისტო. მონაწილეობენ სპორტსაზოგადოებათა და უწყებათა ნაკრები გუნდები (ღონისძიებას ატარებს ფიზკულტურის საკავშირო კომიტეტი).

6. პირად-გუნდური შეჯიბრება ფიზკულტურის რესპუბლიკური კომიტეტის პრიზზე. ფოთი. 4-8 ოქტომბერი. მონაწილეობენ სპორტსაზოგადოებათა და უწყებათა ნაკრები გუნდები (მონაწილეთა რაოდენობა 150, ღონისძიებას ატარებს ფიზკულტურის რესპუბლიკური კომიტეტი).

## ცხენოსნობა

1. რაიონების, ქალაქებისა და ასს რესპუბლიკათა პირველობა. ადგილებზე. 25-31 მაისი. მონაწილეობენ ფიზიკური კულტურის კოლექტივები (ღონისძიებას ატარებენ ფიზკულტურის შესაბამისი კომიტეტები).

2. საქართველოს სსრ პირად-გუნდური პირველობა. თბილისი. 13-23 ივნისი. მონაწილეობენ რაიონების, ქალაქებისა და ასს რესპუბლიკათა ნაკრები გუნდები (მონაწილეთა რაოდენობა 264, ღონისძიებას ატარებს ფიზკულტურის რესპუბლიკური კომიტეტი).

3. სამატჩო შეხვედრა. ესტონეთი - საქართველო. ტალინი. 20-24 ივლისი. მონაწილეობს რესპუბლიკის ნაკრები გუნდი (მონაწილეთა რაოდენობა 28, ღონისძიებას ატარებს ფიზკულტურის რესპუბლიკური კომიტეტი).

4. მონაწილეობა საკავშირო ზონალურ პირად-გუნდურ შეჯიბრებაში სტიპლ-ჩეზში. როსტოვი. 2-5 აგვისტო. მონაწილეობს რესპუბლიკის ნაკრები გუნდი (მონაწილეთა რაოდენობა 10, ღონისძიებას ატარებს ფიზკულტურის საკავშირო კომიტეტი).

5. მონაწილეობა სსრ კავშირის პირად-გუნდურ პირველობაში. მოსკოვი. 23-31 აგვისტო. მონაწილეობს რესპუბლიკის ნაკრები გუნდი (მონაწილეთა რაოდენობა 19, ღონისძიებას ატარებს ფიზკულტურის საკავშირო კომიტეტი).

6. სოფლის ცხენოსანთა საკავშირო შეჯიბრება. კრასნოდარი. 3-6 ოქტომბერი. მონაწილეობენ სოფლის სპორტსაზოგადოებათა ნაკრები გუნდები.

7. პირად-გუნდური შეჯიბრება საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პრიზზე. თბილისი. 24-30 ოქტომბერი. მონაწილეობენ სპორტსაზოგადოებათა და უწყებათა ნაკრები გუნდები (მონაწილეთა რაოდენობა 180, ღონისძიებას ატარებს ფიზკულტურის რესპუბლიკური კომიტეტი).

(დასასრული შემდეგ ნომერში)





გასული წლის ბოლოს ბუდაპეშტს ამხანაგური შეხვედრის ჩასატარებლად ეწვია საბჭოთა კავშირის სამბისტთა გუნდი. ჩვენმა მოჭიდავეებმა ფრაერმა, ივანოვმა, სიმონიშვილმა, ბოგოლიუბოვმა, მაზიაშვილმა, ფედოტოვმა, დაუშვილმა და შინჯიკაშვილმა ძლიერად ჩაატარეს ყველა შეხვედრა და საპატიო გამარჯვება მოუტანეს თავის გუნდს.

ქვესაშუალო წონაში მასპინძლების სპორტულ ღირსებას იცავდა ფიზიკურად ძლიერი, გამოცდილი პრაქტიკოსი კოლმანი. მისი მოწინააღმდეგე იყო ახალგაზრდა სპორტის ოსტატი ბ. მაზიაშვილი. ბრძოლამ მაყურებელთა ცხოველი ინტერესი გამოიწვია. ორივე მოჭიდავე ენერგიულად, ძალების დაუზოგავად იბრძოდა.

... მე-7 წუთზე მაზიაშვილმა ჩაატარა ხერხი ფეხის ჩავლებით. უნგრელი წამით ჰაერში აღმოჩნდა (სურათი მარცხნიდან) და შემდეგ ბეჭებით შეეხო ხალიჩას. ყველაფერი ეს ისე მოულოდნელად მოხდა, რომ კოლმანი დიდხანს ვერ გამოერკვა. მეორე სურათზე თქვენ ხედავთ კოლმანს, რომელსაც შეხვედრა უკვე წაგებული აქვს, მაგრამ დაბნეულობისაგან ხელს არ უშვებს მეტოქეს.

შეხვედრა დამთავრდა. კოლმანის სურვილით გამარჯვებულმა და დამარცხებულმა ერთად გადაიღეს სურათი:

— ეს ფოტო მწარე, მაგრამ მაინც სასიამოვნო მოგონება იქნება ჩემთვის, — განაცხადა უნგრელმა, როდესაც ფოტორეპორტიორმა გადასცა მას ეს სურათი.





⊙ **სტოკჰოლმი.** აქ სტუმრად იმყოფებიან საბჭოთა კავშირის სპორტსაზოგადოება „სპარტაკის" მოკრივეები. სპარტაკელებმა მოიგეს ორი შეხვედრა შვეციისა და ფინეთის გუნდებთან.

⊙ **ჯაკარტა.** ინდონეზიაში ამხანაგური მატჩების ჩასატარებლად ფეხბურთში ჩავიდა ჩეხოსლოვაკიის ერთ-ერთი უძლიერესი გუნდი „რუდე გვეზდა" (ბრატისლავა). ჩეხებმა გამარჯვება მოიპოვეს 2 მატჩში.

⊙ **ათენი.** ევროპის რეკორდსმენმა და ოლიმპიური თამაშების პრიზიორმა ჰოკით ხტომაში გეორგ რუბანისმა (საბერძნეთი) დაძლია 4 მ 69 სმ სიმაღლე.

⊙ **პარიზი.** გამოქვეყნდა საფრანგეთის საუკეთესო ჩოგბურთელ ვაჟთა სია. პირველ ადგილზე იმყოფება პიერ დარმონი.

⊙ **ვარშავა.** მიმდინარე წელს პოლონეთში აშენდება რამდენიმე დახურული საცურაო აუზი ლიუბლინში, სოსნოვეცში, კელცში, გარდა ამისა, ვროცლავის, ბიელსკოსა და კრაკოვის საზაფხულო აუზებში ისე მოეწყობა ცხელი წყლის ცირკულაცია, რომ ცურვა შესაძლებელი იქნება სრული წლის განმავლობაში.

⊙ **რიო-დე-ჟანეირო.** საავტომობილო რბოლა 2-კილომეტრიან წრეზე დაბრკოლებებით დამთავრდა ცნობილი არგენტინელი მრბოლელის ფანჯიოს გამარჯვებით. 55 წრე (110 კმ) მან გაიარა 1 საათსა და 10,39 წუთში. ფანჯიოს გადაეცა დიდი პრიზი.

## ქ რ ო ნ ი კ ა

31 იანვარს, ალ. ჯაფარიძის სახელობის საქართველოს ალპური კლუბის საჯარო სხდომაზე მოხსენებას წაიკითხავს გეოგრაფიულ მეცნიერებათა კანდიდატი ზურაბ ტინტილოზოვი თემაზე: „მღვიმეების და უფსკრულების კვლევის საიდუმლოებანი".

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

> **ყურადღება! ყურადღება!**
>
> **გრძელდება გაზეთ «ლ ე ლ ო ს» კონკურსი „ყველაზე პოპულარული სპორტსმენი საქართველოში, 1957 წ".**
>
> კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლია ყველას. დასახელებულ უნდა იქნან პოპულარული სპორტსმენი ვაჟები ცალკე და ქალები ცალკე.
>
> ვინც მიიღებს ხმათა მეტ რაოდენობას აღიარებულ იქნება ყველაზე პოპულარულ სპორტსმენად საქართველოში 1957 წლის სეზონის შედეგების მიხედვით.
>
> კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა უნდა გამოაგზავნონ თავიანთი მოსაზრებანი წერილობით შემდეგი მისამართით: თბილისი, გაზეთ „ლელოს" რედაქციას. „კონკურსისათვის".
>
> ქალთა კონკურსის შედეგები შეჯამდება 8 მარტისათვის, ხოლო ვაჟთა კონკურსის შედეგები 23 მარტისათვის.

⊙ **მარსელი.** მატჩი უმჩატესი წონის მოკრივეებს გ. ლამპერტსა (საფრანგეთი) და ჟ. სნეიერს (ბელგია) შორის დამთავრდა ფრანგი მოკრივის გამარჯვებით. ევროპის ყოფილი ჩემპიონი სნეიერი ძლიერი დარტყმის შემდეგ მძიმე მდგომარეობაში ჩავარდა და მეხუთე რაუნდის შემდეგ უარი განაცხადა ბრძოლაზე.

⊙ **ხაიდარაბადი** (ინდოეთი). აქ შეიქმნა პირველი ეროვნული სპორტული ბიბლიოთეკა. საბიბლიოთეკო ფონდი მოიცავს ლიტერატურას სპორტის ყველა სახეობაში. გარდა ამისა, ბიბლიოთეკას განზრახული აქვს მოაწყოს სპორტული ლიტერატურის გაცვლა-გამოცვლა სხვა სახელმწიფოებთან.

⊙ **ნეაპოლი.** დიდი ინტერესი გამოიწვია მსოფლიო პირველობამ მარათონულ ცურვაში კუნძულ კაპრისა და ნეაპოლს შორის.

გამარჯვება მოიპოვა მექსიკელმა პროფესიონალმა მოცურავემ გუტიერესმა, რომელმაც 33 კილომეტრი დაფარა 8 საათსა და 58,28 წუთში. მოყვარულ მოცურავეთა შორის საუკეთესო იყო ან-ნავაბი (ერაყი) — 10:16.06.

⊙ **სტოკჰოლმი.** ფეხბურთში მსოფლიო პირველობის ფინალური ტურნირის კენჭისყრა შედგება სტოკჰოლმის ცირკის — „ტირგარტენის" შენობაში 8 თებერვალს.

## ჩვენ გვწერენ

### რატომ გვეცილება კურორტთა სამმართველო?

წინა წლებში ბორჯომის მინერალური წყლების ჩამოსხმა ხდებოდა ორჯონიკიძის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკის ტერიტორიაზე მდებარე ქარხანაში, გასაგზავნად მზა ნაწარმის ჩაწყობა კი ჩამწყობ საამქროში, რომელიც ქარხნიდან სამ კილომეტრზე მდებარეობდა. ამ ორი ობიექტის დაახლოების მიზნით ჩამწყობ საამქროსთან დამთავრდა ჩამომსხმელი ქარხნის მშენებლობა, ძველი ორსართულიანი შენობა კი გათავისუფლდა.

რეკონსტრუქციის შემდეგ ამ შენობაში თავისუფლად შეიძლება მოეწყოს დახურული აუზი, კალათბურთისა და ფრენბურთის მოედნები, დარბაზი კრივის, ჭიდაობისა და ფარიკაობისათვის. შესაძლებელია ადგილი დაეთმოს მოჭადრაკეებს, მით უმეტეს, ყოველწლიურად, საკავშირო პირველობის წინ, ბორჯომში შეკრებაზე ჩამოდიან რესპუბლიკის ხორჩი მოჭადრაკეები.

ქარხნის ახალგაზრდებმა მოვითხოვეთ შენობა გადმოეცათ ჩვენთვის, სადაც ქარხნის დირექციის დახმარებით საკუთარი ძალებით მოვაწყობდით ბაზას, მით უმეტეს, რომ ახალი სპორტული დარბაზი დამკვეხებლებსაც გაუწევდა მომსახურებას.

ჩვენს ინიციატივას მხარი დაუჭირა ქარხნის დირექციამ, კომკავშირის რაიკომმა, ხოლო პარტიის რაიონულმა კონფერენციამ თავის ღონისძიებაშიც კი შეიტანა აღნიშნული პუნქტი, მაგრამ საქმეში ჩაერია ბორჯომის ტიპის კურორტების სამმართველო, რომელიც თავდაუზოგავად იბრძვის შენობის ხელში ჩასაგდებად საბილიარდოს, ბიბლიოთეკისა და სხვათა საჭიროებისათვის. რა თქმა უნდა, საბილიარდო და სამკითხველოც კარგია, მაგრამ ისინი ბორჯომში საკმაო რაოდენობითაა. გარდა ამისა, შენობა ქარხანას ეკუთვნის და როგორც წესი, მასვე უნდა მოხმარდეს, მით უმეტეს, დღემდე რაიონში არც ერთი სპორტული დარბაზი არ გვაქვს.

კარგი იქნება თუ საქმეში ჩაერევიან საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტი და ფიზკულტურისა და სპორტის რესპუბლიკური კომიტეტი. ბორჯომელ ახალგაზრდებს უნდა დავეხმაროთ რათა ქარხნის ყოფილი შენობა მათ დარჩეთ.

**ი. კრავცოვი,**
ქარხნის კომკავშირის კომიტეტის მდივანი, პირველთანრიგოსანი სპორტსმენი.

**დ. რუბაშვილი,**
**რ. ხარაზოვი,**
**გ. კაპანაძე,**
სპორტსმენები.

### შენიშვნები სასროლო სპორტზე

ჩვენი რესპუბლიკის ნაკრები გუნდი ტყვიით სროლაში თავისი შედეგებით დიდად ჩამორჩება საბჭოთა კავშირის პირველ ხუთეულში შემავალ გუნდებს. რესპუბლიკის დიდ ქალაქებში, კეთილმოწყობილი ნახევრად დახურული და დახურული ტირების სიმცირე, ხარისხიანი სასროლო იარაღის, ვაზნების, მაღალი კვალიფიციური მწვრთნელთა და საიმედო ახალგაზრდა მსროლელთა კადრების დიდი ნაკლოვანება უარყოფითად მოქმედებს სპორტის ამ სახეობის განვითარებაზე.

ქუთაისში, ბათუმში, სოხუმში და სხვაგან თითო კეთილმოწყობილი ნახევრად გადახურული ტირი მინიმალურადაც ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნებს, ამას გარდა ამ ქალაქებს არა აქვთ დახურული ტირები, რის გამოც მაღალი კლასის მსროლელთა მომზადება შეუძლებელი ხდება. რაც შეეხება მწვრთნელებს და გუნდების ხელმძღვანელებს, ისინი ხშირად მეთვალყურეთა და კორექტორების მოვალეობას უფრო ასრულებენ, ვიდრე აღმზრდელებისას და ამიტომ წლების მანძილზე არამც თუ საიმედო კადრებს, არამედ ცალკეულ მსროლელებსაც ვერ ამზადებენ.

ჩვენს რესპუბლიკაში მწვრთნელის გარეშე მომზადებულ სპორტსმენებს კოშელევს, ლინიკს, დექტარევს, ბობკოვს და სხვებს ოსტატის ნორმატივის შესასრულებლად მრავალ შეჯიბრებაში მიღებული გამოცდილება და 6-7 წელიწადი დასჭირდათ.

გამოცდილი მსროლელები ახალგაზრდა სპორტსმენებს — მომავალ მეტოქეებს არ უზიარებენ გამოცდილებას. ასე იყო წინა წლებში, სამწუხაროდ ასეა დღესაც, როცა I თანრიგის ნორმა უფრო მეტს მოითხოვს სპორტსმენისაგან და მწვრთნელისაგან, ვიდრე ოსტატის გუშინდელი ნორმა.

ყველა ზემოხსენებული მიზეზების შედეგად 1955 წლიდან დღემდე ქუთაისში არ მომზადებულა არც ერთი პირველთანრიგოსანი, ხოლო თბილისში ამავე პერიოდში ზოგიერთ იარაღიდან არავის შეუსრულებია ოსტატის ნორმატივი.

პრაქტიკამ გვიჩვენა, რომ ახალგაზრდა მსროლელთა კადრებთან ხშირი მოკლევადიანი შეკრებები დადებით შედეგებს იძლევა. 1952 წელს, უთანრიგო მსროლელების გუნდმა სამი კვირის (50 საათიანი) მეცადინეობის შედეგად სნაიპერის შაშხანიდან (600 მეტრზე) ამიერკავკასიის ძველ რეკორდს 139 ქულით გადააჭარბა, ყველამ თანრიგი შეასრულა და დაიკავა რა პირველი ადგილი, უკან ჩამოიტოვა ისეთი გუნდი, რომლის შემადგენლობაშიც საქართველოს ნაკრები გუნდის წევრები იყვნენ. 1955 წელს მეორეთანრიგოსნებმა სამკვირიანი შეკრების შედეგად რევოლვერიდან უძლიერესთა შორის პირველი ადგილი დაისაკუთრეს, ხოლო ამ გუნდის ერთად ერთმა პირველთანრიგოსანმა შ. გუჯარელიძემ (ამჟამად ოსტატმა) პირველი ადგილი მოიპოვა. კიდევ ერთი მაგალითი: 1953 წელს ორკვირიანი შეკრების შემდეგ სნაიპერის შაშხანიდან, რომელიც მონაწილეთათვის მაშინ ახალი ხილი იყო, განუმეორებელ შედეგს მივაღწიეთ. 20-დან 18-მა ფრიადზე შეასრულა ვარჯიში. ცხადია, რთულ სპორტულ სროლებში შაშხანიდან პირველთანრიგოსანთა მოსამზადებლად (სამი მდგომარეობიდან) სამკვირიანი შეკრება ერთხელ და ორჯერ არ კმარა. ამას გარდა საჭიროა სისტემატური ვარჯიში შეკრების გარეშეც.

რესპუბლიკის ნაკრებმა, რომ უახლოეს ორ-სამ წელიწადში საშუალო ადგილზე გადაინაცვლოს, აღნიშნულის გარდა საჭიროა მწვრთნელთა კვალიფიკაციის დროული ამაღლება.

**შ. ჯაშიაშვილი.**

### „ანგელოზების" მამა

1875 წელს ერთი ამერიკელი მღვდელი კოლეჯის დირექტორთან კამათში ამტკიცებდა, რომ ტექნიკის განვითარებამ თავის დასასრულს მიაღწია, რადგანაც უკვე აღმოჩენილია ყველაფერი, რის აღმოჩენაც კი შეიძლებოდაო. დირექტორი არ დაეთანხმა ამას.

—50 წლის შემდეგ, — უპასუხა მან — ადამიანები ფრინველებივით დაეუფლებიან ცას.

მღვდელი აღაშფოთა ამან და მრისხანედ წარმოთქვა.

— ფრენა შეუძლიათ მხოლოდ ანგელოზებს და ვინც კი სხვანაირად იფიქრებს, შეჩვენებული იქნება!

მღვდლის გვარი იყო მილტონ რაიტი.

კამათის შემდეგ 30 წელიც არ გასულა, რომ მსოფლიოს მოედო ცნობა პირველი მფრინავების, ძმები ორვილ და ვილბურ რაიტების გმირობის შესახებ, რომლებიც... ღვთისმსახურის — მილტონ რაიტის შვილები იყვნენ.

**რედაქტორი ი. უზულავა**

გაზეთი გამოდის სამშაბათობით, ხუთშაბათობით და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დაღმართი № 12. დეპეშებისათვის თბილისი, „ლელო".
ტელეფონები: რედაქტორის — 3 89 62, პ.მგ. მდივნისა და განყოფილებების — 3-90-34, მორიგისა და გამომშვების — 3-38-25

საქართველოს კპ ც კ-ის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 00630